

დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი
საბოლოო ანგარიშები
ნაწილი I

I-001

ორგანიზაცია: ქვემო ქართლის პრესა (KKPRESS)

პროექტი: ადგილობრივი მედია ქვემო ქართლის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური გაშუქებისთვის

ააიპ „ქვემო ქართლის პრესა - KKPRESS“-მ პროექტის განხორციელება

„ადგილობრივი მედია ქვემო ქართლის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური გაშუქებისთვის“ 2013 წლის აპრილში დაიწყო.

პროექტის პირველი აქტივობა რაიონული ჟურნალისტების შერჩევა იყო. შეირჩა ადგილობრივი ჟურნალისტები რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და წალკის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაშუქებისთვის.

ჟურნალისტებს დაევალათ ყოველდღიურ რეჟიმში მასალების მომზადება, როგორც ნიუსური ხასიათის, ასევე ანალიტიკის.

პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალების უმრავლესობა, რაიონის პრობლემებიდან გამომდინარე სოციალური ხასიათის აღმოჩნდა. ჩვენი ჟურნალისტები წერდნენ ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონებში არსებულ სასმელი წყლისა, თუ ბუნებრივი აირის პრობლემაზე. მასალები აქტიურად მზადდებოდა რაიონებში არსებულ პოლიტიკურ სიახლეებსა, თუ ვითარებაზე. ჟურნალისტები აშუქებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობას. ჟურნალისტური მასალა მომზადდა თითქმის ყველა იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, რაც რაიონში თვითმმართველობებმა გამოიტანეს.

სისტემატიური რეჟიმით გაშუქდა ქვემო ქართლის რაიონებში მიმდინარე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაც. განსაკუთრებული ყურადღება იქიდან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლი

აგრაღური რაიონია დაეთმო - სოფლის მეურნეუბის კუთხით მიმდინარე ე.წ ხვანა-თესვის ბარათების პროგრამას.

ჟურნალისტების მუშაობის შედეგად გამოიკვეთ ის ხარვეზები, რაც ახლდა აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობს. საუბარი იყო ხშირ შემთხვევაში, მიწით მოსარგებლეთა მოუწესრიგებელ სიებზე და დედაქალაქიდან დაგვიანებით გამოგზავნილ ბარათებზე.

მიღებული გრანტის საშუალებით ვცდილობდით საზოგადოებისთვის მაქსიმალურად მიგვეწოდებინა ინფორმაცია, ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის საკითხზე. შექდებოდა რაიონული თვითმმართველობის სახელმწიფო შესყიდვები, სატენდერო პირობები და ა.შ

პროექტის მიმდინარეობისას მუდმივად გვექმნებოდა პრობლემა ადგილობრივ თვითმმართველობასთან საკრებულოს სხდომებთან დაკავშირებით. ადგილობრივი პრესამსახურები არ გვაწვდიდნენ ინფორმაციას სხდომების ჩატარების თარიღის შესახებ. რის გამოც ვერ მოხერხდა საკრებულოს სხდომების სისტემატიური გაშუქება.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობასთან ერთად შექდებოდა რაიონებში პოლიტიკური პარტიების მუშაობა, რომელიც ძირითადად არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხდებოდა აქტიური.

მასალები მომზადდა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომლებსაც მიუხედავად ოჯახში არსებული სიდარობისა - დახმარება შეუწყდათ. ჟურნალისტები მუშაობდნენ, ასევე უსახლკარო ოჯახების პრობლემაზე, რომელიც ჩვენი რეგიონისთვის აქტუალური თემაა.

იმის გამო, რომ რეგიონში არსებულ ყველა პრობლემაზე და მნიშვნელოვან მოვლენაზე მომზადდა ჟურნალისტური მასალები ვთვლით, რომ ჩვენი მიზანი ქვემო ქართლის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური გაშუქება - შესრულდა.

საერთო ჯამში პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რაიონების შესახებ მომზადდა 700-მდე ჟურნალისტური მასალა: სტატიები, რეპორტაჟები და ნიუსები. ასევე ამავე პროექტის რესურსების გამოყენებით ქვემო ქართლის ყველა რაიონის შესახებ მომზადდა ვიდეო სიუჟეტებიც, რომელიც მეტი გამომსახველებითი უნარებისთვის თან ახლდა ტექსტური მასალების ნაწილს.

I-002

ორგანიზაცია: კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი
პროექტი: სამოქალაქო საზოგადოების ფოკუს-ჯგუფების ჩართულობა კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ცენტრმა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მხარდაჭერით 2013 წლის 12 აპრილიდან - 2013 წლის 27 ოქტომბრამდე განახორციელა პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების ფოკუს-ჯგუფების ჩართულობა კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში“, რომელიც მიზნად ისახავდა კონსტიტუციური კანონმდებლობის დემოკრატიული შინაარსისა და სტაბილობის უზრუნველყოფას მოქალაქეთა და მათი სხვადასხვა ჯგუფების და გაერთიანებების ჩართულობით და დისკუსიებში აქტიური მონაწილეობით. საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას კონსტიტუციის დემოკრატიული შინაარსის უზრუნველსაყოფად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კონსტიტუციური პროცესების კომპეტენტურად გაშუქებას და საზოგადოებრივი აზრის სწორი მიმართულებით წყევანას, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა აქტიურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისათვის მომზადებას; ეთნიკური ჯგუფების კონსტიტუციურ პროცესში ჩართულობას; ექსპერტთა ჩართვას კონსტიტუციური სამართალშემოქმედების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობისათვის და მოსახლეობის პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებისთვის.

პროექტის წარმატებით ჩატარება სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა შემდეგმა აქტივობებმა განაპირობა:

ტრენინგი ჟურნალისტებისათვის „საქართველოს კონსტიტუცია და კონსტიტუციური რეფორმა“

ტრენინგი ჩატარდა ორ ეტაპად, თითო ჯგუფი შედგებოდა 20 ჟურნალისტისგან სალექციო კურსი მოიცავდა 5 შაბათ დღეს, კონსტიტუციურ სამართალში ჩატარდა 10 ლექცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: 1) საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი; 2) საქართველოს მთავრობა; 3) საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება (პარლამენტი); 4) ადამიანის უფლებები; 5) სასამართლო ხელისუფლება; 6) საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობა; 7) საქართველოს კონსტიტუციური ისტორია; 8) საქართველოში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმა; 9) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის თავისებურებანი; 10) შემაჯამებელი ტესტირება, რის შედეგადაც გამოვლინდნენ საუკეთესო შედეგის მქონე ჟურნალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ქობულეთში გამართულ საზაფხულო სკოლაში.

პროექტის მონაწილეებს გადაეცათ საქართველოს კონსტიტუციები, სერთიფიკატები და დიპლომები.

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ მოსწავლეთათვის

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ცენტრმა სამი თვის განმავლობაში, ყოველ შაბათ დღეს უმასპინძლა თბილისის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების დაახლოებით 300 მოსწავლეს, მათ შორის ეროვნული უმცირესობებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

მოსწავლეებმა დაათვალიერეს კონსტიტუციონალიზმის დარბაზში წარმოდგენილი 50-მდე სახელმწიფოს კონსტიტუციური განვითარების ეტაპების ამსახველი ექსპონატები, კონსტიტუციები, სამართლებრივი აქტები, ჩაუტარდათ ლექცია საზვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის შესახებ, ნაჩვენები იქნა სასწავლო-შემეცნებითი ფილმი „კანონთა კანონი“. ვიზიტორთათვის საინტერესო თემებზე გაიმართა დებატები. თავისუფალი თემისა და დებატებში აქტიურობის მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ქობულეთში გამართულ საზაფხულო სკოლაში.

კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილების მონაწილეებს დაურიგდათ საბავშვო-ილუსტრირებული კონსტიტუციები, სამახსოვრო მაისურები, სერთიფიკატები და დიპლომები.

მრგვალი მაგიდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის კონსტიტუციაში შეტანილი იმ ცვლილებებისა და დამატებების გაცნობას, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა კონსტიტუციონალიზმის ცენტრის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პრეზიდენტის სახეცვლილმა სამართლებრივმა სტატუსმა, ფუნქციებმა და უფლებამოსილებებმა. დაისვა უამრავი კითხვა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ჩამოყალიბებისა და პარლამენტის როლის ზრდის შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ კონსტიტუციები ქართულ - ინგლისურ ენებზე, შეირჩნენ კონფერენციის საუკეთესო მონაწილეები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ქობულეთში გამართულ საზაფხულო სკოლაში.

კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კონცეფციის შესახებ

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრში გაიმართა კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კონცეფციასთან დაკავშირებით.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები. კონცეფცია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ წარმოადგინეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა და სამინისტროსთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ დავით ლოსაბერიძემ.

კონფერენციის თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა აისახა გამართულ დებატებში. სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ კონცეფციის განხილვაში, ბევრ ბუნდოვან საკითხზე გამახვილდა ყურადღება, კონცეფციის დახვეწის აუცილებლობაც დადგა დღის წესრიგში. სწორედ ამ მიზნით, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი შეემუშავებინათ მათი ხედვა-შენიშვნები და მიეწოდებინათ ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფისათვის, ასევე აქტიურად ჩართულიყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციის საბოლოო ვარიანტის შემუშავების პროცესში.

საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციონალიზმის საფუძვლები“

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ჩაატარა საზაფხულო სკოლა, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის, ჟურნალისტებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღეს იმ ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა, რომლებიც პროექტის მიმდინარეობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგებისა და ლექციების სპეციალურ კურსებში, და დააგროვეს საკმარისი ქულები. ლექციებს ატარებდნენ კვალიფიციური ლექტორები და ტრენერები.

საზაფხულო სკოლა ორ ეტაპად ჩატარდა, პირველი 5 დღე საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის მოსწავლეები სოციალურად დაუცველი და ეთნიკური უმცირესობების ოჯახებიდან, ხოლო მეორე ეტაპი დაეთმოთ მოქმედ ჟურნალისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

სკოლის ფარგლებში მონაწილეებს უტარდებოდათ ლექციები საქართველოს კონსტიტუციაზე, კონსტიტუციის მოქმედ და ძალაში შესასვლელ ნორმებზე. იმართებოდა დებატები და დისკუსიები, სხვადასხვა სახის სპორტული აქტივობები.

პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

„კონსტიტუციის დღეები“

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ცენტრმა ჩატარა სამდღიანი ფესტივალი „კონსტიტუციის დღეები“ და მასში მონაწილეობა მიიღო თბილისის ათმა უმაღლესმა სასწავლებელმა.

„კონსტიტუციის დღეების“ ფარგლებში გაიმართა სტუდენტური ოლიმპიადა კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში, სადაც გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მართავდნენ დებატებს და წარმოადგენდნენ თემებს, გამარჯვებული 5 გუნდი კი გადავიდა მეორე ეტაპზე სადაც გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“.

გამოვლინდა გამარჯვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზით და სხვადასხვა საჩუქრებით.

ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ - მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პროფესიული განვითარების ევროპული ცენტრი და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი.

შეხვედრები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრმა კონსტიტუციის პოპულარიზაციის მიზნით გამართა შეხვედრები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

დაინტერესებულ მოსახლეობას, არასამთავრობო სექტორს, ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა იმ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომლებიც ძალაში შევიდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

მსგავსი აქტივობები განხორციელდა თბილისში, გარდაბანში, ახალციხესა და მარნეულში, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო საკითხის აქტუალურობა. აუდიტორიას განემარტა რაში მდგომარეობს ცვლილებათა არსი, მოსახლეობა გაეცნო პრეზიდენტის ფუნქცია-უფლებამოსილებებს, პარლამენტისა და მთავრობის როლს სახეცვლილი კონსტიტუციის მიხედვით, გაიმართა დისკუსიები და კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილულ იქნა ყველა ძირითადი საკითხი. ეხვედრაში მონაწილეებს დაურიგდათ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია ქართულ-ინგლისურ ენებზე.

საქართველოს კონსტიტუციის გამოცემა ქართულ-ინგლისურ ენებზე

კონსტიტუციონალიზმის ცენტრის მიერ პროექტის ფარგლებში გამოიცა საქართველოს კონსტიტუცია ქართულ-ინგლისურ ენებზე, 2013 წლის 1 ივნისის მდგომარეობით. კონსტიტუციები საჩუქრად დაურიგდა პროექტში მონაწილე ყველა ფოკუს ჯგუფის წარმომადგენელს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგან მან პროექტით დადგენილი მასშტაბების შესაბამისად ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას; მოსახლეობის პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერების დონის გაღრმავებას; კონსტიტუციის სტაბილობისა და დემოკრატიული შინაარსის უზრუნველყოფას; დემოკრატიულ პროცესებში მოსახლეობისა და ცალკეული ფოკუს-ჯგუფების ჩართულობას; ხელისუფლებაზე სახალხო კონტროლის გაძლიერებას.

I-003

ორგანიზაცია: ჩვენი თავისუფლება

პროექტი: ჩვენი თავისუფლება

“ჩვენი დამოუკიდებლობის დღე - Our Independence Day - (20 აპრილი - 26 მაისი) - ჩვენი პროექტისთვის გადაიღეს და გამოგვიგზავნეს ვიდეოები 62 ქვეყნის მოქალაქეებმა (თითოეულმა 2 ვიდეო), ასევე ვიდეოები მოგვაწოდეს საქართველოს 14 ქალაქიდან. ეს ვიდეოები დავამონტაჟეთ და ავტვირთეთ „ჩვენი თავისუფლების“ YouTube-ის არხზე, ასევე ჩვენი ორგანიზაციის Facebook-ის, Twitter-ის და Pinterest-ის გვერდებზე. კამპანიის პიკში „ჩვენი თავისუფლების“ Facebook-ის გვერდის Weekly Total Reach-მა 153 ათას უნიკალურ მომხმარებელს გადააჭარბა.

დოკუმენტური ვიდეოფილმების სერია: „ჩემი თავისუფლება“: ივნისის თვეში დაიწყო 5 მოკლე დოკუმენტური ვიდეოფილმის (თითოეულის ხანგრძლივობა 6-7 წუთი) პერსონაჟების მოძიება და მათთან შეთანხმება; ივლისის 26/27/28 და აგვისტოს 2/3/4 დაიგეგმა და გადაღებულ იქნა 5 მოკლე დოკუმენტური ვიდეოფილმი. გადაღებები საქართველოს 5 კუთხეში -კახეთი, იმერეთი, სვანეთი, ზემოაჭარა, სამეგრელო. გადაღებების დასრულებისთანავე დაიწყო ფილმის მონტაჟი და სოციალურ ქსელში გამოქვეყნება.

დოკუმენტური ფილმი - „ჩვენი თავისუფლება“ (10 გვისტო - 5 სექტემბერი) - გაკეთდა ერთი მთლიანი ფილმი, რომელმაც შეკრა 5 მოკლე დოკუმენტურ ფილმი, მასში ასევე მოკლედ იქნა ასახული პროექტის სხვა საქმიანობებიც და მისი ხანგრძლივობაა 40-45 წუთი.

ამ პროექტის ფარგლებში 30 სექტემბერს თბილისის მედიათეკეში, ვაკის ფილიალში გაიმართა შემაჯამებელი საღამო და ფილმის პრეზენტაცია, სადაც მოწვეულნი იყვნენ დონორები, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები და პროექტის გულშემატკივრები.

I-005

ორგანიზაცია: საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი

პროექტი: დებატები ცვლილებისთვის

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

1. „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“(GIDE) მიერ კონკურსის გზით თბილისის მასშტაბით შეირჩა 6 უნივერსიტეტი.

08.04-05.06.2013 პერიოდი უნივერსიტეტების შერჩევის

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შერჩეულ უნივერსიტეტებში „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ტრენერ-კონსულტანტებმა, გამართეს პროექტის პრეზენტაცია-„დებატები ცვლილებისათვის,“ შემდეგ უნივერსიტეტებიდან აპლიკაციის შევსებისა და გასაუბრების გზით შეარჩიეს სტუდენტები (სულ 20 სტუდენტი).

12 -16. 07. 2013 ჩაუტარდათ ტრენინგი:

- სტუდენტები დაეუფლნენ დებატების ტექნიკას;
- დებატების კლუბის შექმნისა და მართვის ძირითად ინსტრუმენტებს;
- საკვლევი პაკეტის შექმნის მეთოდებს;

ტრენინგი ორ ეტაპად ჩატარდა, ილიას სახ. უნივერსიტეტში და სასტუმროში "ლოპოტა“.

ქართველ ტრენერებთან ერთად სტუდენტებთან მუშაობდა მოწვეული საერთაშორისო დებატების (IDEA-ს) ტრენერი, ვიაჩესლავ რუდნიცკი.

ტრენინგის მიმდინარეობის დროს გაიმართა რამდენიმე ინგლისურენოვანი დებატები, აგრეთვე ჩატარდა ინგლისურენოვანი ტრენინგი, რომელზეც სტუდენტები დაეუფლნენ, საკვლევო პაკეტის შექმნის მეთოდებს.

02-18. 09. 2013 შეხვედრები გაიმართა დატრენინგებულ სტუდენტებთან, რომლებიც უნივერსიტეტებში ჩამოაყალიბებენ დებატების კლუბებს.

გაიწერა ღონისძიებათა გრაფიკი

- კლუბის შექმნა;
- სტუდენტების დაინტერესება (პიარ-აქციები უნივერსიტეტებში);
- კლუბში გაწევრიანების პრინციპის შემუშავება.

1. შეიქმნა სასწავლო გეგმა, რომელსაც ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევენ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ტრენერ-კონსულტანტები.
2. დაიგეგმა რამდენიმე საჯარო დებატი.
3. თითოეული უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს საკვლევ პაკეტზე მუშაობა, შერჩეული თემები ზოგადად უკავშირდება დემოკრატიული მმართველობის განვითარებას.

ღონისძიებათა გრაფიკის განხორციელება

18-30. 09. 2013 უნივერსიტეტებში სტუდენტების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პიარ-აქციები, კლუბებში გაწევრიანება ხდებოდა კონკურსის გზით, აპლიკაციის შევსებით და გასაუბრებით.

- „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან“ პროექტში ჩართულ რამდენიმე უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი. პროექტში ჩართულ ყველა უნივერსიტეტის მხრიდან მაღალია მზაობა იმისა, რომ გაგრძელდეს დებატების კლუბების არსებობა მათ უნივერსიტეტებში;
- უნივერსიტეტებში შექმნილ დებატების კლუბებს მონიტორინგსა და ფასილიტაციას უწევს „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი“;
- იმართებოდა შიდა თამაშები;
- ეწყობოდა თემატური ლექცია-სემინარები;
- ექსპერტებთან შეხვედრები.

ყოველივე ეს იყო მზადება საჯარო დებატებისათვის და რესპუბლიკური ტურნირისათვის

საჯარო დებატები ქართველი სპორტსმენების სოჭის ოლიმპიადაზე მონაწილეობის შესახებ

14.11.2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ ფარგლებში, „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ინიციატივით, გაიმართა საჯარო დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტში ჩართული ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები, ესენია:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
-

საჯარო დებატები საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

26.11.2013 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ ფარგლებში, „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ინიციატივით, გაიმართა საჯარო დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტში ჩართული ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები, ესენია:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

ინგლისურენოვანი საჯარო დებატები საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

29.11.2013 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ ფარგლებში, „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ინიციატივით, გაიმართა საჯარო დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტში ჩართული ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები, ესენია:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
-

საჯარო დებატები ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში გლობალიზაციის შესახებ

01.12.2013 ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში, პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ ფარგლებში „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ინიციატივით, გაიმართა საჯარო დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტში ჩართული ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები, ესენია:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

პროექტის „დებატები ცვლილებისათვის“ ფარგლებში გამართულ საჯარო დებატებს ესწრებოდნენ:

- პროექტში ჩართული უნივერსიტეტების რექტორები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

02.12. 2013 დაიწყო მზადება დებატების რესპუბლიკური ტურნირისათვის

- გამოცხადდა საკამათო თემა;
- პროექტში ჩართულმა უნივერსიტეტებმა შექმნეს გუნდები და დარეგისტრირდნენ;
- გუნდებმა დაიწყეს მზადება რესპუბლიკური ტურნირისათვის ;
- „ საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ მიერ შეირჩნენ მსაჯები ტურნირისათვის;

21.12. 2013 გაიმართა დებატების რესპუბლიკური ტურნირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში , რომელშიც პროექტ-„დებატები ცვლილებისათვის“ ჩართული ყველა უნივერსიტეტი მონაწილეობდა.

ტურნირის მიმდინარეობა

დღის წესრიგი

- გაიმართა I და II რაუნდები;
- მოხდა შედეგების დამუშავება;
- გამოვლინდნენ ნახევარფინალში გასული გუნდები;
- გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო მოდებატეები;
- გაიმართა ნახევარფინალები;
- გამოვლინდნენ ფინალში გასული გუნდები;
- გამოცხადდა ფინალური ეტაპის რეზოლუცია;

დებატების რესპუბლიკური ტურნირის ფინალი

22.12.2013 სასტუმროში რედისონ ბლუ ივერია, გაიმართა დებატების რესპუბლიკური ტურნირის ფინალური შეხვედრა და პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ დასკვნითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პროექტის „დებატები ცვლილებისთვის“ ფარგლებში ჩართული უნივერსიტეტების სტუდენტები, ესენია:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი.
- პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები;
- გამოვლინდნენ საუკეთესო მოდებატეები, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და პრიზები;
- გამოვლინდა რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებული გუნდი, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და პრიზები;

ყველა განხორციელებული აქტივობის ფოტომასალა შეგიძლიათ იხილოთ:

<https://www.facebook.com/media/set/?set=a.206261636195488.1073741842.154870758001243&type=3>

პროექტის შესრულების განრიგი

მიმართულება	საქმიანობა	თვე								
		აპრ.	მაი.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექ.	ოქტ.	ნოვ.	დეკ.
უნივერსიტეტების შერჩევა	პროექტის პრეზენტაცია									
	სტუდენტების შერჩევა უნივერსიტეტებში									
ტრენინგი სტუდენტებისათვის	მასალათა კრებულის მომზადება									
	ტრენინგის ჩატარება									
	მონაწილეების სერთიფიცირება									
	პირველი უკუკავშირი მონაწილეების მხრიდან									
	დებატების კლუბების ჩამოყალიბება									
	დებატების კლუბების სუპერვიზირება									

დებატების კლუბების ჩამოყალიბება	კლუბების მეცადინეობების და შიდა თამაშების ჩატარება																		
	თემატური ლექციების ჩატარება																		
	საჯარო დებატების ორგანიზება/ადვოკატირება																		
	საკვლევო პაკეტის შექმნა																		
ერთიანი ტურნირის ჩატარება	საკამათო თემის გამოცხადება																		
	გუნდების მომზადება																		
	გუნდების რეგისტრაცია და მსაჯების შერჩევა																		
	ტურნირის ორგანიზება და გამარჯვებულების დაჯილდოვება																		

I-006

ორგანიზაცია: საზოგადოება „ბილიკი“

პროექტი: თანადგომა

განხორციელების ადგილი: პროექტის „თანადგომა“ საქმიანობები განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის 13 სკოლის ბაზაზე:

გორი -#3, #5 და # 12 საჯარო სკოლა;

გორის მუნიციპალიტეტის სოფლების-ნიქოზის, ხვითის, ხურვალეთის, წითელუბანის, შავშვების, ერგნეთის, დიცის, ძევერის, ყელქცეულის და ბერშუეთის საჯარო სკოლები.

ბენეფიციარები: სკოლის უფროსი ასაკის მოსწავლეები

საანგარიშო პერიოდი: 2013 წლის აპრილი-2013 წლის დეკემბერი

მიზანი:

გორის მუნიციპალიტეტის (საოკუპაციო გამყოფი ხაზის სოფლების) მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გააქტიურება, საზოგადოებაში ინტეგრაციის და სამოქალაქო ინიციატივების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები

ამოცანა №1

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებს შორის, რათა მათ შესძლონ თავისი პრობლემების მოგვარებისთვის გზების დანახვა.

ამოცანა №2

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანია ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოება „ბილიკსა“ და პარტნიორ სკოლებს შორის

ამოცანა #1 სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებს შორის, რათა მათ შესძლონ თავისი პრობლემების მოგვარებისთვის გზების დანახვა.

აქტივობა #1ლიდერთა ქსელის ჩამოყალიბება

▶ 7 საჯარო სკოლის: ძევერა, დიცი, ერგნეთი, ყელქცეული, ბერშუეთი, ზემო ნიქოზის და ქვემო ხვითის სკოლებში განხორციელდა პროექტის პრეზენტაციები

▶ ჩამოყალიბდა ლიდერთა ქსელი საზოგადოება „ბილიკის“ ბაზაზე. ლიდერები შეირჩნენ აპლიკაციების საშუალებით

- ▶ სკოლებში დაარსდა სამოქალაქო კლუბები
- ▶ განხორციელდა სასკოლო კლუბების საქმიანობა სკოლებში და მათი ხელშეწყობა (სამუსაო, საკანცელარო მასალით, ადამიანური რესურსით)
- ▶ სამოქალაქო კლუბების ლიდერების ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები საზოგადოება „ბილიკში“

აქტივობა №2 ტრენინგები

ლიდერი მოზარდებისათვის ადამიანური რესურსის განვითარების ხელშესაწყობად ჩაუტარდათ ტრენინგები თემის მობილიზაციის შესახებ

ტრენინგების მონაწილეები შეირჩნენ აპლიკაციების საშუალებით, სულ შემოვიდა 119 აპლიკაცია

- ▶ ტოლერანტობა
- ▶ აქტიური მოქალაქეობა
- ▶ ადამიანის უფლებები და მოვალეობები
- ▶ ადვოკატირება
- ▶ თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა
- ▶ პროექტების წერა და მართვა
- ▶ თვითმართველობა
- ▶ სოციალური მედია

თითოეულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 15 მოზარდმა

სამოქალაქო კლუბების საქმიანობა სკოლაში

- ▶ თანატოლთა განათლების ტრენინგები
- ▶ დასუფთავების აქციები
- ▶ სპორტული ღონისძიებები
- ▶ ფილმების ჩვენება/განხილვა
- ▶ საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
- ▶ შემოქმედებითი ღონისძიებები

- ▶ თემების და ნახატების კონკურსი

აქტივობა 3. დებატების ტურნირი

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისთან თანამშრომლობით ჩატარდა

- ▶ ტრენინგი: დებატის ტექნიკების, დებატის სტრუქტურის სწავლება, რეზოლუცია და მისი ტიპები.
- ▶ ცოდნის უკეთესად აღქმისთვის მოეწყო პრაქტიკული სავარჯიშოები.

მონაწილეობა მიიღო 13 სკოლის გუნდმა, 40 მოსწავლე

გამარჯვებული გუნდი და საუკეთესო სპიკერი დაჯილდოვდა წიგნებით და სიგელებით

მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა (მოეწყო) შემდეგი ღონისძიებები

- ▶ დედამიწის დღე
- ▶ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- ▶ გენდერული ძალადობის კვირეული
- ▶ მშვიდობის საერთაშორისო დღე
- ▶ აქცია შიდსის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით
- ▶ გოგონათა საერთაშორისო დღე
- ▶ ჩარლი ჩაპლინისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ▶ ექსკურსიები რაბათის ციხესა და ვაშლოვანის ნაკრძალში
- ▶ საახალწლო ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მხარდაჭერით
- ▶ ვიქტორინა სამოქალაქო კლუბებს შორის გენიოსების დღის აღსანიშნავად
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, განხილვა

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ▶ გამოფენაში “იკითხე ანა ფრანკთან ერთად“-„გორის ინვალიდთა კლუბმა“ და საქართველოს გაეროს ასოციაცია
- ▶ ექსკურსია ბაკურიანში გორის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მხარდაჭერით.

- ▶ მონაწილეობა ახალგაზდული ფორუმში- სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

- ▶ გასვლითი ტრენინგები ბათუმსა და თელავში- ორგანიზაცია ველფარ ფაუნდემენტის მხარდაჭერით.

ამოცანა #2

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანია ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის შესახებ აქტივობა 2.1.

- ▶ თემების კონკურსი “ჩვენი - აქტიური მოქალაქის როლი დემოკრატიული სკოლის განვითარებაში”

- ▶ გამარჯვებულ თემების მიხედვით გამოიცა ბროშურა.

- ▶ საუკეთესო თემების ავტორებს გადაეცათ საჩუქრად წიგნები „მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია“

2.2. მედია კლუბის ჩამოყალიბება

- ▶ ჩატარდა ტრენინგები 3 მიმართულებით: სტატიების წერა, ფილმების და ფოტო გადაღების ტექნიკები.

პროექტის განმავლობაში მედია კლუბის მიერ:

- ▶ გამოიცა გაზეთი “ბილიკის” 2 ნომერი

- ▶ ჩამოყალიბდა ფილმების გადასაღები ჯგუფი

- ▶ მოსწავლეებმა გადაიღეს 3 მცირეფორმატიანი ფილმი. ჟურნალისტიკის კლუბის წევრებთან ერთად შეირჩა სამი სოფელი ძვეერა, ქვ. ხვითი და დიცი და მასთან დაკავშირებული სამი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა როგორც ახალგაზრდებს, ისე სრულიად სოფლის მოსახლეობას.

- ▶ მომზადდა 2 სატელევიზიო გადაცემა “თქვენი პოზიცია ჩემთან” , რომელიც გავიდა რეგიონალური ტელეკომპანიის „თრიალეთის“ ეთერში. გადაცემაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოება „ბილიკის“ წარმომადგენლებმა, სკოლის დირექტორებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა

- ▶ შეიქმნა პროექტის ფეიბუქის გვერდი <https://www.facebook.com/societybiliki?fref=ts>

- ▶ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მედია ბანაკში “მედია და ჟურნალისტი, პროფესია და პროფესიონალიზმი” , სადაც პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ ჩატარდათ თეორიული და

პრაქტიკული სწავლება ტელე, საგაზეთო და რადიო ჟურნალისტიკაში, ფოტოგრაფიასა და ელექტრონულ მედიაში. ბანაკის ფარგლებში მომზადდა ფილომი და რადიო რეპორტაჟი.

აქტივობა 2.3. შეხვედრები და თემატური ვიზიტები

გაიმართა შეხვედრები და თემატური ვიზიტები როგორც სახელისუფლებო სფეროს, ასევე სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან:

- ▶ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილესთან ქ- ნინო წეწვამესთან
- ▶ გორის დემოკრატიის სკოლის (NIMD) წარმომადგენლებთან
- ▶ არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“ წარმომადგენლებთან
- ▶ ორგანიზაცია „ველფეარ ფაუნდეიშენის“ წარმომადგენლებთან
- ▶ საიას გორის ოფისის იურისტებთან
- ▶ რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტთან გიორგი ედიშერაშვილთან
- ▶ ჟურნალისტ დაჩი გრძელიშვილთან
- ▶ ჟურნალისტ თეა გიგუაშვილთან
- ▶ ახალგაზრდა გორელ პოეტ დავით ლომაიასთან
- ▶ წითელი ჯვრის გორის ადგილობრივ ორგანიზაციაში
- ▶ ძალადობისაგან დაცვის გორის ოფისში
- ▶ ვიზიტი გორის გენდერულ რესურს ცენტრში
- ▶ სტუმრობა იუსტიციის სახლში

აქტივობა 2.4. სოციალური მედიის პოპულარიზაცია

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ბლოგი <http://thanadgoma.wordpress.com/>, სადაც განთავსდა ინფორმაცია ყველა ღონისძიების შესახებ.

მოზარდებისთვის სოციალური მედიის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგები სოციალური მედიის და ბლოგების შესახებ.

მონაწილეობა მიიღო 40 მოსწავლემ, რომლებმაც შექმნეს ბლოგები.

სოციალური მედიის ტრენინგების გავლის შემდგომ მოსწავლეებმა თავიანთ თანატოლებს გაუზიარეს ცოდნა და ასწავლეს ბლოგების შექმნა, სულ შეიქმნა 80 ბლოგი.

გამოცხადდება კონკურსი, რომლის მიზანი იყო 5 ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეთა გამოვლენა და საუკეთესო ბლოგების ავტორების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოხდა 5 ბლოგერის დაჯილდოვება ფოტოაპარატით და სერთიფიკატით

სასკოლო ინიციატივების მხარდაჭერა

მიზანი: ახალგაზრდების მონაწილეობა თემის, სკოლის პრობლემების მოგვარებასა და საზოგადოების საჭიროებების დაცვაში.

პარტნიორი საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი ინიციატივები განხორციელდა სამოქალაქო კლუბების მიერ:

▶ **ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია-ყელქცეულის საჯარო სკოლა**

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი , ტურნირზე მოწვეული იყო სპორტის ოსტატი, მოჭადრაკე ციალა ქასროშვილი, რომელიც ერთობლივად 20 მოსწავლეს ეზტამაშა ჭადრაკს, ჟიურის მიერ გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ თასი, ხოლო ყველა მონაწილეს სიგელი

▶ **სპორტი-ცხოვრების ჯანსაღი წესი- ქვ. ხვითის საჯარო სკოლა**

მოსწავლეებს შორის ჩატარდა მხატვრული კითხვის სადამო, მოეწყო ხატვის კონკურსი თავისუფალ თემაზე. ყველა ბავშვს ინდივიდუალურად გადაეცათ პრიზები.

ჩატარდა სპორტული ღონისძიება "კალათბურთში", სადაც გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი . ასევე სპორტული შეჯიბრი "მხიარული სტარტები", რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის 5-8 კლასის მოსწავლეების 2 გუნდმა "არწივი " და "ავაზა" გამარჯვებულ გუნდს " არწივებს " ჟიურის მიერ გადაეცათ სიგელები.

სკოლაში ჩატარდა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საინფორმაციო კამპანია, მოეწყო დასუფთავების აქცია და დარიგდა ბუკლეტები

▶ **მწვანე კუთხე-** ნიქოზის საჯარო სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, დასუფთავების და გამწვანების აქციის მოწყობას სკოლასა და მის შემოგარებში, ჩატარდა ხატვის კონკურსი თემაზე „ბუნების დაცვა“ მოეწყო ეკოლოგიის საკითხებზე ვიქტორინა და სკოლის ფოიეში მოეწყო მწვანე კუთხე.

▶ **შემოდგომის დღესასწაული-**ერგნეთის საჯარო სკოლა, პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეების გააქტიურებას, მათი მოტივაციის ამაღლებას და ცართვას არაფორმალურ ღონისძიებებში, სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივით და პედაგოგების მხარდაჭერით მიერ მოეწყო შემოდგომის ზეიმი, (შემოქმედებითი ღონისძიება) რომელსაც ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურს ცენტრის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები და საზოგადოება „ბილიკის“ წარმომადგენლები.

▶ **ცოდნა მაღლიანი სიმდიდრეა- დიცის საჯარო სკოლა**

პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშაა ახალი ლიტერატურა სკოლის ბიბლიოთეკისთვის. ჩაატარეს ლიტერატურული ვიქტორინა, გამარჯვებულ ბავშვებს გადაეცათ წიგნები საჩუქრად

▶ **ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით-ბერშუეთის საჯარო სკოლა,**

სკოლა ადიჭურვავს სპორტული ინვენტარით, მოეწყო სპორტული შეჯიბრებები კლასებს შორის სხვადასხვა სპორტულ დისციპლინებში.

▶ **სკოლის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება-მევერის საჯარო სკოლა**

პროექტი მიზნად ისახავდა სკოლის ტერიტორიაზე სასმელი წყლის მილების გამოცვლას, რათა სკოლას მიეწოდოს სასმელად ვარგისი წყალი.

პროექტის დახურვის ღონისძიება

26 დეკემბერს საზოგადოება „ბილიკმა“ პროექტ „თანადგომის“ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარადგინა, ღონისძიებაზე ოარტნიორი სკოლების საქმიანობის პრეზენტაციებიც მოეწყო, ნაჩვენები იყო ის ფილმები, რომელიც ჟურნალისტიკის სტუდიის წევრების მიერ იქნა გადაღებული. სკოლის დირექციის და სამოქალაქო კლუბების წევრებმა ისაუბრეს პროექტის შედეგებზე, მიღწევებზე, წარმატებებზე და მნიშვნელობაზე.

ღონისძიებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და პარტნიორი სკოლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

I-007

ორგანიზაცია: სამოქალაქო ინიციატივა - საზოგადოების ჯანმრთელობისათვის

პროექტი: მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცდა მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 28 თებერვლიდან.

პროგრამის I ეტაპი მოქმედებდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 1 ივლისამდე და შედგებოდა 2 კომპონენტისაგან: გადაუდებელი ჰოსპიტალური და ამბულატორიული მომსახურება და გეგმიური ამბულატორიული მომსახურება. ფინანსდებოდა გადაუდებელი შემთხვევების 450-ზე მეტი ნოზოლოგია .

პროგრამის ბენეფიციარია საქართველოს 2 მილიონზე მეტ მოქალაქე, რომლებიც არ არიან ჩართული არც ერთ სადაზღვევო სქემაში (ინდივიდუალური, კორპორატიული და სახელმწიფო დაზღვევა).

ბენეფიციარებს ჰქონდათ სამედიცინო პროვაიდერის არჩევის უფლება. ოჯახის ექიმის და პოლიკლინიკური სერვისების მიღების მსურველებს უნდა გაეგოთ წინასწარი რეგისტრაცია მათთვის სასურველ პოლიკლინიკაში. გადაუდებელი დახმარების კომპონენტის ბენეფიციარებს მსგავსი რეგისტრაცია არ მოეთხოვებოდათ, გამომდინარე სამედიცინო მომსახურების სპეციფიკიდან, მათი რეგისტრაცია ხორციელდებოდა ჰოსპიტალიზაციის შემდგომ, სამედიცინო დაწესებულების ემერჯენსის განყოფილებაში.

პროგრამას უშუალოდ განხორციელებელი იყო სოციალური მომსახურების სააგენტო და სამედიცინო სერვისების პროვაიდერებს სპეციალური განცხადებით უნდა მიემართათ მომსახურების სააგენტოსთვის პროგრამაში ჩართვის შესახებ.

2013 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა პროგრამის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებში ფინანსდებოდა:

1. პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული სერვისები
2. გადაუდებელი ამბულატორიული დახმარება
3. გაფართოებულ გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას
4. გეგმიური ქირურგიული ოპერაციები
5. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა

6. მშობიარობა

გადაუდებელი ამბულატორია და ჰოსპიტალიზაცია ანაზღაურების ლიმიტი ერთეულ შემთხვევებზე შეადგენდა 15 000 ლარს 100 /%, გეგმიური გირურგიული ოპერაციები 15 000 ლარი ლიმიტი 70%, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა 12 000 ლარი, 80%, ფიზიოლოგიური მშობიარობა 500 ლარი, საკეისრო კვეთა 800 ლარი.

პროექტის შესახებ :

ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა-საზოგადოების ჯანმრთელობის“ მიერ შემუშავდა და განხორციელებულია პროექტი, რომლის მთავარი მიზანი და ამოცანები იყო საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი, შეფასება, პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და სახელმწიფოსათვის სათანადო რეკომენდაციების შემუშავება სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე პროგრამის გამჭვირვალების და ბენეფიციარების ინფორმირებულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა შემდეგი ქვეკომპონენტები:

- 1). საყოველთაო ჯანდაცვის მონიტორინგი რეგიონებში და თბილისში პროგრამაში მონაწილე სამედიცინო კლინიკებში;
- 2). კვლევა (ანკეტირება და ფოკუს ჯგუფები);
- 3). ცხელი ხაზი;
- 4). მიღებული შედეგების ანალიზი, შეფასება;
- 5). სათანადო რეკომენდაციების შემუშავება დარგის ექსპერტებთან ერთად;

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენდა 4 თვეს და აქტივობები განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტი პირობითად დაიყო 4 ეტაპად:

I ეტაპი:

მოსამზადებელი სამუშაოები, გუნდის დაკომპლექტება, სათანადო დოკუმენტაციების მომზადება, პროექტის გაცნობა და შეთანხმება კლინიკებთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

II ეტაპი

პროგრამის მონიტორინგი რეგიონალურ კლინიკებში, თბილისის სამედიცინო კლინიკებში, ბენეფიციართა ანკეტირება რეგიონებში, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება.

III ეტაპი

მონიტორინგის და ცხელი ხაზის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასება.

IV ეტაპი

კონსულტაციები დარგის ექსპერტებთან, რეკომენდაციების შემუშავება პროექტის საბოლოო ანგარიშში.

განხორციელებული აქტივობები

პროექტის განხორციელება დაიწყო 2013 წლის 1 მაისს და გაგრძელდა 2013 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით.

დაკომპლექტდა საორგანიზაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე მუკათარიძე პროექტის ხელმძღვანელი, თემურ უბილავა სამედიცინო პროვაიდერებთან ურთიერთობის და რეგიონალური კოორდინატორი და ნოდარ მათიაშვილი მონაცემთა შეგროვების და დახარისხების კოორდინატორი.

შეიქმნა facebook-ის გვერდი პროექტის მიმდინარეობის შესახებ სიახლეების განსათავსებლად.

უზრუნველყოფილ იქნა პირველადი შესყიდვები პროექტისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

მომზადდა და დაეგზავნათ ოფიციალური წერილები პროექტის გაცნობისა და შეთანხმების მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოს და შემდეგ სამედიცინო კლინიკებს:

თბილისი

1. „მაღალი ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“
2. „რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო“
3. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა

რეგიონები

- ✓ რუსთავის რესპუბლიკური საავადმყოფო
- ✓ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო
- ✓ დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი (ქუთაისი)
- ✓ ზუგდიდის მრავაპროფილიანი კლინიკა „რესპუბლიკა“

ზემოაღნიშნულ კლინიკებთან საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა აწარმოეს მოლაპარაკებები, შეათანხმეს პროექტის ძირითადი დეტალები. მათ შორის ჯგუფის წევრები ამ მიზნით იმყოფებოდნენ შესაბამის რეგიონალურ ქალაქებში: ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და რუსთავი.

ბენეფიციართა გამოკითხვისათვის მომზადდა და დაიბეჭდა ანკეტები(ჯამში 8000ც), ცხელი ხაზის საინფორმაციო პლაკატები (100ც).

მომიხვედრებულ იქნა და დამუშავებულ იქნა საყოველთაო ჯანდაცვის ტექნიკური დოკუმენტაცია და სამართლებრივი აქტები.

ცხელი ხაზისთვის შეირჩა სამედიცინო უნივერსიტეტის 2 სტუდენტი: მიხეილ ჯანჯღავა და ქეთევან ზუმბულიძე.

ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგები, მიეწოდათ აუცილებელი ინფორმაცია პროგრამის შესახებ და გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულებები.

2013 წლის 17-19 ივნისს მონიტორინგი და პროექტის პრეზენტაცია განხორციელდა ქ. ქუთაისის „დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში“.

პრეზენტაციის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის შესახებ, აგრეთვე გაიმადტა ცხელი ხაზის ნომრის პრეზენტაცია და შესაბამის პლაკატების განთავსება საინფორმაციო სტენდებზე.

მონიტორინგი ითვალისწინებდა შემთხვევების რეგისტრაციაზე თვალყურის დევნებას, მორიგობას ემერჯენსის განყოფილებაში, ბენეფიციარების მიერ სპეციალური ანკეტების შევსებას, მათ გამოკითხვას, ექიმებთან, კლინიკის ხელმძღვანელობასთან და პროგრამის სპეციალურ წარმომადგენელთან გასაუბრებას, ადგილზე პროგრამის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობას.

2 დღის განმავლობაში გამოკითხა პროგრამის ბენეფიციარები, შეავსეს სპეციალური ანკეტები, ინფორმაცია პროგრამის შესახებ სხვადასხვა მიმართულებების ექიმ-სპეციალისტებმა უპასუხეს საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს.

ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელეკომპანია რიონის მიერ, ინფორმაციები განთავსდა საინფორმაციო სააგენტოების: pirweli.com.ge, sazogadoeba.ge, ghn.ge ის გვერდებზე.

იხ. ბმული:

http://sazogadoeba.ge/news.php?post_id=1096

http://pia.ge/index.php/images/stories/templates/wm_08/nimages/images/stories/rus/uploads/uploads/banner_81.swf?menuid=15&id=35578

<http://rionitv.com/index.php?newsid=1651>

2013 წლის 17 ივნისს, მონიტორინგის პარალელურად ამოქმედდა ცხელი ხაზის ნომერი, (2 ტელეფონი დაიდგა, რომელსაც ემსახურებოდა 2 ოპერატორი) რომელიც ფუნქციონირებდა დღის განმავლობაში. მოქალაქეებს შეეძლოთ დაერეკათ, მიეღოთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ, დაეფიქსირებინათ შენიშვნები და შეფერხებები სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას (არსებობის შემთხვევაში), მიეღოთ კვალიფიციური კონსულტაცია.

შენიშვნების დაფიქსირება ხდებოდა ოპერატორების მიერ სპეციალურ ჟურნალში.

2013 წლის 20-22 ივნისის ჩათვლით, მონიტორინგი და პროექტის პრეზენტაცია გაიმართა ქ. ზუგდიდში, მრავალპროფილური საავადმყოფო „რესპუბლიკაში“.

გამოკითხა პროგრამის ბენეფიციარები, რომლებმაც დააფიქსირეს საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები, შეავსეს სპეციალური ანკეტები.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ ექიმებს, პროგრამის წარმომადგენელს და კლინიკის ხელმძღვანელებს, მოისმინეს მათი მოსაზრებები პროგრამასთან დაკავშირებით და გაეცნენ პროგრამის მიმდინარეობას.

საინფორმაციო სტენდებზე გამოიკრა პროექტის საინფორმაციო პოსტერები ცხელი ხაზის ნომრებით.

ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელეკომპანია „ოდისის“ მიერ.

იხ. ბმული:

<http://www.youtube.com/watch?v=Tmfa80iBbXU>

2013 წლის 5 ივლისს, ორგანიზაციის მიერ მონიტორინგის პირველადი შედეგების პრეზენტაცია გამართა ექსპო ჯორჯიის პავილიონში საყოველთაო ჯანდაცვის სერვის ცენტრში.

ორგანიზაციის წევრებმა საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია ზუგდიდში და ქუთაისში გამართული მონიტორინგის შედეგებისა და გამოვლენილი ძირითადი პრობლემები შესახებ.

პრეს-კონფერენცია ფართოდ გაშუქდა მედია საშუალებების მიერ.

იხ. ბმული:

<http://1tv.ge/news-view/52056/>

<http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=8536>

<http://info9.ge/?l=G&m=108&f=0&id=13851>

<http://www.youtube.com/watch?v=Oyf8FoYwy9c>

<http://janmrteobainfo.ge/?p=17643>

2013 წლის 18 - 21 ივლისის ჩათვლით მონიტორინგი განხორციელდა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ჩატარდა გამოკითხვა ანკეტირება პროგრამის ბენეფიციარების, ცხელი ხაზის ნომრის პრეზენტაცია, პროგრამის წარმომადგენელთან და ექიმებთან გასაუბრება, შემთხვევათა რეგისტრაციის პროცესის ზედამხედველობა.

აგრეთვე გაიმართა შეხვედრა კლინიკის ხელმძღვანელობასთან განხილულ იქნა პროგრამის აქტუალური საკითხები, გამოკვეთილი პრობლემები და სერვისების გაუმჯობესების შესაძლებლობები.

2013 წლის 7-9 აგვისტოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაზე დაკვირვება და პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა განხორციელდა ქ. რუსთავში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

2013 წლის 16 - 17 აგვისტოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაზე დაკვირვება და პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა განხორციელდა თბილისში, აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში.

<http://www.kavkasiatv.ge/ge/portal/news/3071/>

<http://timer.ge/11735-16-17-agvistos-sayovelthao-jandacvis-programis-mimdinareobas-daakvirdebian.html#>

2013 წლის 20-30 აგვისტოს ჩათვლით ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაზე დაკვირვება და პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა განხორციელდა თბილისში, მაღალი ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრში და რკინიგზის ცენტრალურ საავადმყოფოში.

მონიტორინგის ფარგლებში ჩამოყალიბდა თანამშრომლობა კლინიკის ხელმძღვანელებთან, მედპერსონალთან როგორც თბილისში ასევე რეგიონებში.

პროექტის ფარგლებში აქტიური კომუნიკაცია გვექონდა სოციალური დაცვის სააგენტოსთან და პერიოდულად ვაწვდიდით ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობაზე და გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

მონიტორინგის და ცხელი ხაზის შედეგები:

პროგრამის მონიტორინგის შედეგად რეგიონებში და თბილისში გამოიკითხა ჯამში 1200 ზე მეტი ბენეფიციარი, რომლებმაც ისარგებლა პროგრამის მომსახურებით.

ცხელი ხაზი ამოქმედდა 2013 17 ივნისს და დასრულდა 30 აგვისტოს. ამ ხნის განმავლობაში დაფიქსირდა 960 მდე ზარი მოქალაქეების მხრიდან რომლებსაც ჰქონდათ შეკითხვები და შენიშვნები, მიიღეს კომპეტენტური ინფორმაცია და კონსულტაცია.

შეჯამებულ და გაანალიზებულ იქნა მიღებული მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგები, დახურულ ფორმატში მოხდა გაცნობა დარგის ექსპერტებისათვის, ექიმ სპეციალისტებისათვის, გამოიკვეთა პრობლემატური საკითხები და შემუშავდა რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის პაციენტთა უფლებების დაცვისა და სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

გამოვლენილ იქნა პრობლემატური საკითხები და პროგრამული ხარვეზები რომელიც ქმნიდა შეფერხებებს სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას ან საფრთხეს უქმნიდა სამედიცინო მომსახურების ხარისხს და პროგრამის ეფექტურობას.

საორგანიზაციო და ტექნიკური ხარვეზები:

1) მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე პროგრამასთან დაკავშირებით, სათანადო საკონსულტაციო და საინფორმაციო სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა (არაინფორმირებულობის გამო), ხშირ შემთხვევაში ადგილზე პროგრამის წარმომადგენლები არ იყვნენ სათანადო დონეზე გადამზადებულები მიწოდებისათვის კომპეტენტური ინფორმაცია და საკონსულტაციო სერვისები.

2) პოლიკლინიკურ სერვისებზე მოქალაქეთა დიდი ნაწილის რეგისტრაცია ხორციელდებოდა თვითონ პოლიკლინიკების მიერ, მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით მოპოვების გზით, რითაც დაირღვა მოქალაქეთა უფლება თავისუფალი არჩევანის შესახებ, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან დაკავშირებით.

3) პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება ძალიან მცირე იყო გარკვეული ნოზოლოგიებისათვის, რაც უარყოფითად აისახებოდა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. ექიმები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურებისათვის მიღებული დაბალი ანაზღაურების გამო. რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელმა დააფიქსირა რომ სახელმწიფო აგვიანებდა თანხების ჩარიცხვას (რამდენიმე თვით) გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე, რაც პრობლემას უქმნიდა სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებლად საქმიანობას.

4) ელექტრონული ბაზა, სადაც იყო მონაცემები კერძო კომპანიების მიერ დაზღვეული მოქალაქეების, მიეწოდა სოციალურ მომსახურების სააგენტოს. პროგრამის წარმომადგენელი ახდენდა მოქალაქის იდენტიფიკაციას, ბაზაში, თუ ის იყო დაზღვეული არ ეკუთვნოდა მომსახურება პროგრამის ფარგლები. ვინაიდან არ ხდებოდა პერიოდულად განახლება ზემოაღნიშნული ბაზის, დაფიქსირდა შემთხვევები

როდესაც კორპორატიული დაზღვევის მქონე მოქალაქეებმა დაკარგეს სამსახური, შესაბამისად ისინი იყვნენ სადაზღვევო კომპანიების მიერ მოწოდებულ ბაზაში და ვერ სარგებლობდნენ პროგრამის მომსახურებით.

5) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხი რაც იყო უკავშირდება მედიკამენტებს, რომელიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში და მოქალაქეებმა დააფიქსირეს უკმაყოფილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

6) პროგრამა არ ითვალისწინებდა საჭიროების შემთხვევაში პაციენტთა ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას ერთი კლინიკიდან მეორე კლინიკაში, რაც იყო პრობლემატური საკითხი, და ქმნიდა შეფერხებებს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

7) სათანადო კომუნიკაციის არ არსებობა მედპერსონალთან, დარგის ექსპერტებთან და სამოქალაქო სექტორთან.

ხარვეზები იქნა აღმოჩენილი მოწოდებული გადაუდებელი დახმარების ნოზოლოგიების ნუსხაში, მაგალითად:

- მწვავე აპენდიციტის და მწვავე ქოლევსტიტის ლაპარასკოპიული ოპერაციები არ ფინანსდება, მაშინ, როდესაც ეკონომიკურად აღნიშნული ოპერაციის მეთოდი ბევრად უფრო მომგებიანია - საწოლდღეების მინიმუმამდე შემცირების ხარჯზე (1 საწოლდღე ნაცვლად 4-5-სა); ამასთან აღნიშნულ მეთოდს მინიმუმამდე დაჰყავს გართულებებისა და წმინდა ეკონომიკური რისკები, რამაც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ათასობით ლარს შეიძლება მიაღწიოს. ლაპარასკოპიული ქოლევსტიტომიის დროს აუცილებელია ენდოსკოპიური ქოლანგიოგრაფიისა და პაპილოსფინქტეროტომიის საფასურის გათვალისწინება;
- ჩაჭედილი თიაქარი ფინანსდება მხოლოდ ნაწლავის ნეკროზის შემთხვევაში, სხვა სახის თიაქარების ოპერაციული მკურნალობის საფასური ხსირად უმწეო პაციენტების დასაფარია, რაც ლოგიკას და სამედიცინო პრინციპებს მოკლებულია.
- ხშირია ნეირო-ტრავმის ისეთი პათოლოგიები, რომლებსაც არ სჭირდებათ ქირურგიული ჩარევა, მაგრამ თავისთავად წარმოადგენენ მძიმე პათოლოგიებს. ეს ეხება როგორც თავის, ასევე ზურგის ტვინსაც.
- სპონტანური სუბარაქნოიდული ჰემორაგიების დროს, განსაკუთრებით ზრდასრულ ასაკში, პირველ რიგში, გამოსარიცხია თავის ტვინის სისხლძარღვების ანევრიზმის არსებობა, რომლის დიაგნოზი დგინდება თავის ტვინის სისხლძარღვების დიგიტალური ანგიოგრაფიით, ეს უკანასკნელი კი არ ფინანსდება, ასევე არ ფინანსდება ანევრიზმის კლიპირება ღია ან ენდოვასკულარული წესით.
- წელის მალეების მოტეხილობის დროს ოპერაციული მკურნალობა (სტაბილიზაცია) ფინანსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოტეხილია 2 მალაზე მეტი, თუმცა დაზიანების ხარისხი და,

შესაბამისად, ხერხემლის სვეტის ფიქსაციის აუცილებლობა დამოკიდებულია არა მოტეხილი მალეების რაოდენობაზე, რამედ ზურგის ტვინზე კომპრესიის ხარისხზე და მოტეხილობის არასტაბილურობაზე.

ხშირ შემთხვევებში ხერხემლის წელის მიდამოს, მოტეხილობა არ იწვევს ზურგის ტვინზე ზეწოლას და, აქედან გამომდინარე, ნევროლოგიურ დეფიციტს, თუმცა მოტეხილობის არასტაბილურობა და ქმნის საშიშროებას ზურგის ტვინის დაზიანებისა და აქედან გამომდინარე პაციენტის ინვალიდიზაციისა.

- პროგრამაში არ არის ასახული პერიფერიული ნრვების ტრავმული დაზიანებები და მათი ქირურგიული მკურნალობა.

ტექნიკური ხარვეზებიდან აღსანიშნავია რომ ხშირ შემთხვევაში პროგრამის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ ელექტრონულ ბაზასთან წვდომას და შესაბამისად მოოქალაქეთა იდენტიფიკაციას, რომელიც აუცილებელი იყო მათი პროგრამის ფარგლებში ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად.

სარეკომენდაციო ნაწილი:

- 1) მოქალაქეთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმების შემუშავება, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება ამ მიმართულებით და პროგრამის ორგანიზებაში და განხორციელებაში მონაწილე პირების კვალიფიკაციის ამაღლება.
- 2) პროგრამის დაგეგმვაში კლინიკების და პოლიკლინიკების ჩართულობის მაღალი ხარისხის და მუდმივი კომინიკაციის აუცილებლობა;
- 3) პროგრამის დაფინანსების გაუმჯობესება, ფასწარმოქმნის მექანიზმების გადახედვა, ჯანდაცვის ეკონომისტების რეკომენდაციების გათვალისწინება.
- 4) აუცილებელია ნოზოლოგიური ნუსხის გადახედვა და ამ პროცესში სხვადასხვა მიმართულების ექიმი სპეციალისტების ფართო ჩართულობა, დისკუსიების ორგანიზება, აქტიური თანამშრომლობა მათთან და მათი შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება;
- 5) უნდა დაიხვეწოს პროგრამის სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგის მექანიზმები და სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას.
- 6) აუცილებელია პროფესიულ ასოციაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეფექტურ კომუნიკაციას და ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურად განხორციელებას და ხარვეზების დროულად გამოვლენას.

აღნიშნული ხარვეზები და რეკომენდაციები წერილობითი ფორმით გადაეგზავნათ სოციალური მომსახურების სააგენტოს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

შეფასება

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური (ხელისუფლების ცვლილება) ვითარებიდან და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით პროგრამა დაგეგმილ იქნა ნაჩქარევად, ვინაიდან ზემოაღნიშნული პროგრამა საარჩევნო პროგრამის სოციალური ნაწილის ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენდა, რომელიც ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. არ მომხდარა არსებული ვითარების საფუძვლიანი შესწავლა და საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები პროგრამის განსახორციელებლად არ ჩატარებულა. პროგრამის დაგეგვმაში და განხორციელებაში სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი შეაბამისი დარგის ექსპერტების და სპეციალისტების რეკომენდაციები, რამაც გამოიწვია პროგრამის მიმდინარეობისას ზემოაღნიშნული ხარვეზების წარმოშობა.

მიუხედავად ამისა, პროგრამა უნდა შეფასდეს დადებითად და ეფექტურად გამომდინარე მისი მასშტაბებისა, (მონაწილე 2 მილიონზე მეტი მოქალაქე), პროგრამამ თავი გაართვა ძირეულ მიზნებს და ამოცანებს, და შეასრულა გადამწყვეტი როლი ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მკვეთრად გაუმჯობესების კუთხით. პროგრამის იმპლემენტაციის შედეგად ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია ბაზისური სამედიცინო მომსახურების პაკეტით. მოქალაქეები დაზღვეულნი არიან ჯანმრთელობის ძირითადი რისკებისაგან და ეკონომიკური რისკებისაგან რომელიც გამოიწვევდა ოჯახების მნიშვნელოვან დაზარალებას.

პროგრამის ფუნქციონირებას არსებითი გავლენა სადაზღვევო სექტორის საქმიანობის გაუარესებაზე არ მოუხდენია, დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამის ამოქმედება იმ ფონზე როდესაც 2 სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა, რომელიც სახელმწიფო დაზღვევის ფარგლებში აზღვევდა მოქალაქეებს და მათი დაზღვეულების სამედიცინო მომსახურება სრულად აიღო სოციალური დაცვის სააგენტომ და ზემოაღნიშნული ბენეფიციარები სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

ჯანდაცვის სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო პროგრამის მიმდინარეობისას თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან და ზემოთ აღნიშნული ხარვეზების გარკვეული ნაწილი გამოსწორებულ იქნა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს და სასურველია უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთოს და ჩამოყალიბდეს ქმედითი თანამშრომლობა სახელმწიფოსთან.

